ოქროს ქულა მოსკოვიდან

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 5 ნოემბერი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

“ლოკომოტივი”: სამოხინი, კალაიჩევი, ოვჩინიკოვი, კამზულინი, შელესტი (სუსინი), რიახოვსკი, პეტრაკოვი, ილინი, შევჩუკი, ავერიანოვი, გაზაევი.

“დინაომ”: გოგია, კოსტავა, სულაქველიძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩიაძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (ჩელებაძე), შენგელია.

მსაჯი: ი. იგნატოვი (კალუგა).

დუბლიორები – 2:3. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს მუმლაძემ (2) და ჯოხაძემ.

სპორტული მიმომხილველები ამ ბოლო დროს ხშირად გამოთქვამდნენ აზრს, რომ თბილისის “დინამოს” ერთი ნაბიჯი დარჩა ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად, მაგრამ ზოგიერთი უფრო აკონკრეტებდა ამ მოსაზრებას და ოქროს მედლების მოსაგებად საკმარისი მიაჩნდა უფრო ნაკლებიც – ნახევარი ნაბიჯი, ე.ი. ერთ–ერთი რომელიმე მატჩის ფრედ დამთავრება.

ამ “ნახევარი ნაბიჯის” გადადგმას 28–ე ტურში მოველოდით ლენინგრადის “ზენიტთან”, მაგრამ მაშინ ეს “ოქროს პროცედურა” გადაიდო მცირე ხნით, სულ ერთი ტურით და, აი, 5 ნოემბერს მოსკოვის “ლოკომოტივის” სტადიონზე შედგა მატჩი მასპინძლებთან, სადაც საბოლოოდ გადაწყდა იმ დიდი გამარჯვების, ბრწყინვალე წარმატების საკითხი, რომელმაც ჩვენი საუკეთესო გუნდი – თბილისის “დინამო” მისი არსებობის ისტორიაში მეორედ აიყვანა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. თბილისის “დინამო” სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონი გახდა.

29–ე ტურისთვის ჯერ კიდევ იყო დარჩენილი იმის თეორიული ვარიანტი, რომ 3 გუნდს (თბილისის, კიევის, მოსკოვის “დინამო”) დაეგროვებინა ქულათა თანაბარი რაოდენობა და ისინი, დებულების თანახმად, უკვე გათამაშების დამთავრების შემდეგ გაითამაშებდნენ ხელახალ “მცირე ჩემპიონატს”. საამისოდ თბილისის “დინამოს” უნდა წაეგო ორივე დარჩენილი შეხვედრა, კიევისა და მოსკოვის დინამოელებს კი დარჩენილ 2–2 მატჩში გაემარჯვათ. მაგრამ ჩემპიონობის პოტენციურ პრეტენდენტთა სამეულს უკვე 4 ნოემბერს გამოაკლდნენ მოსკოველები, რომელბმაც შინ ფრედ ითამაშეს “არარატთან”, 5 ნოემბერს კი ყოველგვარი თეორიული ჰიპოთეზა უსაფუძვლო და უსარგებლო შეიქნა: ბრძოლა ოქროს მედლებისთვის დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით.

გადამწყვეტი მატჩი “ლოკომოტივთან” წარიმართა ძალზე საინტერესოდ. მართალია, სპორტული თანაფარდობა თითქოს დარღვეული იყო: ერთი მხარე იბრძოდა უმაღლესი ჯილდოსთვის, მეორეს კი ასეთი სტიმული არ გააჩნდა, მაგრამ თამაში შეუპოვარი და დაძაბული გამოდგა, საერთო ტერიტორიული უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ, მოსკოველები კონტრშეტევებით იფარგლებოდნენ.

“ლოკომოტივის” მეკარე სამოხინმა მთელი მატჩი საუკეთესოდ ჩაატარა – რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო ქორიძის, შენგელიას, მ. მაჩაიძისგან. მთელი მატჩი წარიმართა დინამოელთა იერიშებით და თუმცა კალუგელი მსაჯის ი. იგნატოვის საფინალო სასტვენისთვის გოლი არ იქნა გატანილი, თბილისის “დინამომ” მიაღწია იმას, რისთვისაც იბრძოდა – აიღო თავისი 41–ე ჭეშმარიტად ოქროს ქულა.

“ლელო”, 7 ნოემბერი, 1978 წ.